საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №11ნ/№83

2018 წლის 2 აგვისტო

ქ. თბილისი

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მოსამზადებელი კურსების დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 48^1 მუხლის მე-3 პუნქტის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (ქუთაისი, 13 ივნისი 2018 წ., №2523-IIს) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებთ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მოსამზადებელი კურსები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი	**მიხეილ ბატიაშვილი**
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	**გიორგი გახარია**

დანართი

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მოსამზადებელი კურსები

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მოსამზადებელი კურსების (შემდგომში – მოსამზადებელი კურსები) ჩატარებას ორგანიზებას უწევს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (შემდგომში – მანდატურის სამსახური).

2. მოსამზადებელი კურსების ფარგლებში სწავლების მეთოდიკასა და საათობრივ დატვირთვას განსაზღვრავს მოსამზადებელი კურსების განმახორციელებელი, მანდატურის სამსახურთან შეთანხმებით.

3. მოსამზადებელი კურსი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

ა) ფიზიკური მომზადება;

ბ) ზოგადი განათლების სისტემა, საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები და მათი კომპეტენციები;

გ) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფუნქციები, მიზნები, ამოცანები, სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები;

დ) მანდატურის როლი სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხებში, მანდატურის გარანტიები, უფლება-მოვალეობები და მათი განხორციელების წესი;

ე) ადამიანისა და მოსწავლეთა უფლებები, მოსწავლეთა ქცევის წესები და დისციპლინა სკოლაში;

ვ) დანაშაული და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციფიკა;

ზ) მანდატურის მიერ სამართალდარღვევაზე რეაგირების წესი, ადმინისტრაციულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობა;

თ) ოჯახში ძალადობა და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები;

ი) ბულინგი;

კ) სამოქალაქო თავდაცვა;

ლ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;

მ) ჯანსაღი ცხოვრების წესი;

ნ) პირველადი სამედიცინო დახმარება;

ო) ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებები;

პ) ანტისოციალური ქცევა მოზარდებში;

ჟ) კონფლიქტური სიტუაციები სკოლაში და მათი მართვა;

რ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობის სპეციფიკა;
ს) ეფექტური კომუნიკაცია.